სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

37426698566213

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N130213453

რეგისტრაციის თარიღი

07.03.2013 წ

ნოტარიუსი: ეკატერინე შენგელია
მისამართი: თბილისი, ხიზანიშვილის ქ. N 12
ტელეფონი: (+995 32) 265 56 72

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი

ორიათას ცამეტი წლის ექვს მარტს, მე, ნოტარიუს ეკატერინე შენგელიას, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ხიზანიშვილის ქ. №12 მომმართა: შპს **„თეკლა-2004"-ის** (საიდენტიფიკაციო კოდი № 202220765) დირექტორმა **დავით მხეიძემ,** რაც დასტურდება ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, გაცემული სახაზარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 24.01.2012 წელს, განცხადების რეგ № B12009236, რომელმაც განაცხადა, რომ სურს შეადგინოს მინდობილობა, რომლითაც შესაბამის უფლებამოსილებას მიანიჭებს ბატონ **ლელა დგებუაძეს.**

მე დავადგინე მისი პირადობა, მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის საფუძველზე და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **დავით მხეიძემ** (დაბადებული 25.02.1965 წელს ბაღდათი, მცხოვრები მისამართზე: თბილისი ვ.პეტრიაშვილის ქ. 13, პირადი № 01017021101, პ/მ №ა1363605, გაცემული: სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მთაწმინდა-კრწანისის სამსახურის მიერ 19.03.2010) მომმართა.

მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. მე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, მინდობილობის შინაარსი, შემდეგ შევადგინე მინდობილობა, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მას. მან წაიკითხა მინდობილობა და მკაფიოდ და ნათლად განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას. შემდეგ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას ცამეტი წლის ექვს მარტს, შპს **„ თეკლა-2004"-ის** დირექტორმა **დავით მხეიძემ** რომელიც შემდგომში მოხსენიებულია, როგორც – „მიმნდობი", **ლელა დგებუაძეს** (დაბადებული 23.03.1989 წელს თბილისი, მცხოვრები მისამართზე: თბილისი ზ.ხმელნიცკის ქ. 44ა კორ. 3 ბ. 40, პირადი № 01011078856), რომელიც შემდგომში მოხსენიებულია როგორც „მინდობილი", მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

აწარმოოს შპს **„თეკლა-2004"-ის** საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების მდებარე მისამართზე: **თბილისი, შესახვევი აკაკი ბელიაშვილის ქუჩა №1** ლეგალიზაციასთან დაკავშირებული საქმიანობა, იყოს წარმომადგენელი ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურში და შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება აღნიშნული დავალების შესრულებასთან.

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ჩემს სანოტარო ბიუროში, ხოლო ორი გადაეცა მიმნდობს.

მინდობილობა გაცემულია **ერთი თვის ვადით.**

1. დანართი: ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, გაცემული საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ **24.01.2012 წელს, განცხადების რეგ № B12009236, საიდენტიფიკაციო კოდი № 202220765.**

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური 10.00 (ათი) ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილება №507-ის „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისთვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ'' (2011 წლის 29 დეკემბერი) 31-ე მუხლისა, აგრეთვე დ.ღ.გ. 1.80 (ერთი ლარი და 80 თეთრი) ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსისა, სულ 11.80 (თერთმეტი ლარი და 80 თეთრი), ასევე ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების საფასური 2.00 (ორი) ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილება №507-ის „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისთვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ'' (2011 წლის 29 დეკემბერი) 39-ე მუხლისა.

მიმნდობი :--

ნოტარიუსი: /ეკატერინე შენგელია/

